



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იქთიოფთირიუსი

იქთიოფთირიუსი (*Ichthyophthirius multifiliis*), უმარტივესი ერთუჯრედიანი ინფუზორია პარაზიტი. აქვს მომრგვალო, კვერცხისებრი, 0,5–1 მმ დიამეტრის წამწამებით დაფარული სხეული. მრავლდება მიტოზით. ინფუზორიის ზრდასრული ფორმა ლოკალიზდება თევზის კანის ეპითელიუმის ქვეშ, სადაც მისივე ქსოვილით იკვებება. ფსკერზე მასპინძელ ორგანიზმს გარედან ემაგრება, გარდაიქმნება ცისტად, რ-შიც იწყება უჯრედის დაყოფა. ერთი ზრდასრული უჯრედიდან დღე-ღამეში წარმოიქმნება ორი ათასამდე ახალი უჯრედი. ახალგაზრდა ინფუზორიები წყალში გადაადგილდებიან მასპინძელი ორგანიზმის მოსაძებნად. ის ინფუზორიები, რ-ებიც მასპინძელს ვერ პოულობენ, 2–3 დღეში იღუპებიან. ინფუზორია პარაზიტობს თევზის ფარფლებზე, კანის ეპითელიუმზე, ლაყუჩებზე. რამდენიმე დღეში იგი იზრდება 1 მმ-მდე და შეუიარაღებელი თვალით ჩანს თეთრი წერტილების სახით. ი. თევზის კანზე წარმოქმნის წყლულებს. სრული ციკლი გრძელდება 7–10 დღეს. ი. განსაკუთრებით სახიფათოა დახურულ წყალსატევებსა და აკვარიუმში, სადაც თევზების მასობრივ დაღუპვას იწვევს.
